



მუხილა

ქუთაისის ლალო მუსხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი



IL CILINDRO

ეფუარდო ღე ფილიპო



რეჟისორი
თორნიკე მარტანიშვილი

ცილინდრი





მზავარ ბუნოურ შობა-ახალ წელს!



გიორგი შაშვილიძე

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის
სახელმწიფო დრამატული თეატრის
მმართველი

ვულოცავ სრულიად საქართველოს ახალ
წელს!

ვუსურვებ გამთლიანებას, გამრავლებას!

როგორც კულტურის სფეროს წარმომადგენელი, ვისურვებდი,
რომ კულტურის შენება მარტო დედაქალაქიდან არ დაგვეწყოს.
აუცილებელია მივხედოთ რეგიონებს, ტრადიციულ ქალაქებს.

თუ ჩვენ გვინდა აღორძინდეს ქართული კულტურა, მაშინ
რეგიონებში კულტურული ცხოვრება უმაღლეს დონეზე უნდა
იყოს. ეს გახლავთ კულტურის გადარჩენის ერთადერთი ხსნა.

შესანიშნავი მაგალითები გვაქვს ევროპული ქვეყნებისა და თუ ჩვენ გვინდა სწორება ავიღოთ
განვითარებულ ევროპის სახელმწიფოებზე. მაშინ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ იტალია მარტო
რომი არ არის, ესპანეთი – მხოლოდ მადრიდი და საფრანგეთი – მხოლოდ პარიზი. სხვანაირად
ძალიან გაგვიჭირდება... რადგან, ქვეყნის პოლიტიკა ევროპული აზროვნებისკენაა მიმართული,
ხელისუფლებამ თეატრების აღორძინებაზეც უნდა იზრუნოს. როდესაც თეატრი გამართული
იქნება ქალაქში, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში კი, თუ მესხიშვილის თეატრი მაღალპროფესიულ
დონეზე, ტექნიკურადაც მოწესრიგებული იქნება, ეს პირველ რიგში ქალაქს წაადგება. ნუ
დაგვავიწყდება, რომ მესხიშვილის თეატრი ქართული თეატრის ფუნდამენტია.

ჩემს თეატრს, ჩემს ქალაქს ვუსურვებდი ჯანმრთელობას, გამრავლებას... რა თქმა უნდა,
ხალხს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ გვახსოვდეს, რომ კულტურის
განვითარების გარეშე, ერი არ განვითარდება.

ეს გახლავთ ჩემი საახალწლო სურვილები.

მრავალ მშვიდობიან, ბედნიერ ახალ წელს დაესწარით!

ყველანი მიყვარხართ!

ქაჩხაძე გიორგიშვილი

ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო

დრამატული თეატრის დასის მმართველი, რეჟისორი:

„შობა-ახალ წელს მრავალს დაესწარით. ფერი გვეცვალოს
სიკეთისკენ, სიმშვიდისკენ. ერთი ჩაკეტილი, ვიწრო აზროვნებით
ნუ ვიაზროვნებთ. მრავალფეროვნება უხდება ქართველის
აზროვნებას, ისევე როგორც მრავალხმოვანება ქართულ
სიმღერას. მაგრამ ყველა ქართველის აზროვნება მიმართული
იყოს იმისკენ, რომ ყველანი ერთ საერთო უნისონში გავედიოდეთ,
გამოვიყვანოთ საქართველო განსაცდელიდან და ყველამ
მშვიდობიანი განვითარებისთვის ვიზრუნოთ.

ბევრ ახალ, კარგ პრემიერას, საინტერესო ღონისძიებებს
ვისურვებდი ჩვენი თეატრისთვის, მაღლი და სიკეთე გაგვმრავლებოდეს. ერთმანეთის სიყვარული
შეგვძლებოდეს.





ლამარაშვილი, ეკატერინე

რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი:

პვირფასო ქუთაურელო,
 ძვირფასო ხელოვნების მსახურნო!
 გილოცავთ ახალ 2009 წლის შემობრძანებას. ვისურვებდი ეს წელი ყოფილიყო საქართველოსთვის მშვიდობის, აღორძინების, ბედნიერების, ურთიერთ დიდი სიყვარულის წელი.
 ჩვენს საყვარელ ლაღო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრს კი ვუსურვებდი კვლავ მის კედლებში იღვრებოდეს სიტყვა, რომელიც ყველა ქართველს გაამხნევეს და მათ ღირსებას აამაღლებს.

ეკა სუფუნაშვილი,

საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი:

წინასაახალწლოდ პესიმისტური განწყობა მაქვს, იქედან გამომდინარე, რომ ქვეყანა ცუდ დღეშია. უჭირს ქვეყანას და უჭირს მოსახლეობასაც, მაგრამ დმერთსა ვთხოვ – ქვეყანაშიც და თითოეული მსახიობისთვისაც მშვიდობა ყოფილიყოს.

სამწუხაროდ, დღეს ყველაზე მივიწყებული მსახიობია, რაც ძალიან მტკენს გულს, შეურაცხყოფასაც მაყენებს. ეტყობა ავიწყებათ რა ძალა აქვს მსახიობის სიტყვას.

ძალიან მინდა ისეთი წელი დამდგარიყოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიური კრიზისია, რომ ქვეყანა ომგადატანილია, ეს წელიწადი ისეთი ყოფილიყოს, ახდენილი ოცნებების და ასრულებული იმედების გამო, ყველას გახარებოდეს 2010 წლის მოსვლა. ჩვენს შვილებსაც ისეთივე ახალი წელი ჰქონდეს, როგორც სხვის შვილებს. თუ გაჭირვებაა, ყველასთვის გაჭირვება ყოფილიყოს, თუ დაღვინებაა, ყველასთვის დაღვინება, აი, მაშინ გვექნება სახელმწიფო.

დაე, სიტყვა „ლატაკი“ აღარ არსებობდეს საქართველოში. დმერთმა ქნას მომავალი წელი მშვიდობით გადაგვეტანოს. დამდეგი ახალი წელი მინდა მიეულოცო ყველა ქართველ მსახიობს, ვუსურვო წარმატებები, ჯანმრთელობა, ბევრი სპექტაკლი, ხვალი, ბარაქა.

გილოცავთ!



მანიაქა სიმონიშვილი,

რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი:

ახალ წელს ვულოცავ სრულიად საქართველოს, ქართულ თეატრს, მსახიობებს, განსაკუთრებით ქალებს. მინდა ბევრი როლები, წარმატებული სპექტაკლები ვუსურვო მათ.

ბევრი ლამაზი დღე დაბედებოდეს ახალი წლიდან ჩვენს თეატრს, რომელიც უკვე ისეთ საფეხურზე დგას, რომ ქალაქის შუაგულში ტორტივით მდებარე ეს ულამაზესი შენობა, მიმზიდველი (მაცდურიც) ლუკმა ხდება საზოგადოებისათვის – თავისი სპექტაკლებით, მცირე სცენით, ღამის ბიბლიოთეკით, ანუ ლიტერატურული კაფით.

მშვიდობას ვუსურვებ უპირველეს ყოვლისა ქართველებს – ოჯახებშიც, ქვეყანაშიც, სამსახურებშიც და თავად ადამიანებშიც.



2008 წლის 22 დეკემბერს ქუთაისის ლალო მისხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე სცენაზე შედგება ედუარდო დე ფილიპოს „ცილინდრი“ პრემიერა. ეს სპექტაკლი ორი ათეული წლის წინ საკმაოდ წარმატებულად გადიოდა ამავე თეატრის დიდ სცენაზე. დღევანდელი პრემიერის რეჟისორია თორნიკე მარჯანიშვილი, რომელიც საკმაოდ ვრცელ და საინტერესო ბეჭდუბება აქვლი და ახალი „ცილინდრის“ შესახებ.

სიმბოლოა სიდიადისა, ძალიან სწრაფად შეიძლება აღმოჩნდეს სხვის თავზე, ამიტომ ნუ გამოვეკიდებით მხოლოდ ბრწყინვალეობას ცილინდრებისას, მით უმეტეს, ნუ ვენდობით ყალბ ცილინდრებს და, რაც მთავარია, ნუ შევეცდებით ტყუილით მივაღწიოთ დასახულ მიზანს! აი, ყველაფერი ის, რისი თქმაც მინდა ამ სპექტაკლით და

ძველი და ახალი "ცილინდრი"



– ბატონო თორნიკე, „ცილინდრი“ თავის დროზე რეჟისორ ვიქტორ სალიშვილის მიერ დაიდგა მისხიშვილის თეატრის სცენაზე. თქვენ მაშინ, როგორც ვიცო, რეჟისორის ასისტენტი იყავით, რატომ ისევ „ცილინდრი“?

– მართალი ბრძანდებით. 1986 წლის ივნისი იყო, როდესაც თეატრის მაშინდელმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, ედგარ ევაძემ მოსკოვიდან მოიწვია მისი მოსწავლე, ემილ სალიშვილი და ედუარდო დე ფილიპოს „ცილინდრის“ დადგმა დააგეგმა, მე კი, რეჟისორის ასისტენტად დამნიშნა. რადგან მე სხიშვილის თეატრში ახალი მოსული ვიყავი და პროფესიულ რეჟისურაშიც პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, მინდოდა რაც შეიძლებოდა მეტი ყოფილიყო ჩემი წვლილი ამ სპექტაკლის შექმნაში, მით უმეტეს, რომ ემილი საკმაოდ კომუნიკაბელური ადამიანი იყო, ხოლო როგორც რეჟისორი – ძალიან ენერგიული და ნიჭიერი. გარდა ამისა,

მსახიობებთან ენის ბარიერი დასაძლევად ჰქონდა და იმ ერთმა თვემ, რაც ამ სპექტაკლის დადგმას მოუწოდებდა, ძალიან დაგვახლოვა. ჩვენ იმდენად კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს, რომ ემილმა მოსკოვში მის მიერ დაარსებული თეატრ-სუდის „ზღაპარი“-ს გაძღოლა მთხოვა, რადგან თვითონ მეუღლესთან ერთად პარიზში გადადიოდა საცხოვრებლად. მე, როგორც მოგახსენეთ, პროფესიულ რეჟისურაში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, თანაც, ვერ წარმოვადგინა ქუთაისის გარდა სადმე სხვაგან მეცხოვრა და სხვა თეატრში მემუშავა, ამიტომ უარი ვთქვი შემოთავაზებაზე. მას შემდეგ 22 წელი გავიდა და, ალბათ, სიმბოლურია, რომ ახლანდელი პრემიერა 22 დეკემბერს დაენიშნე, ლამაზად ჟღერს – 22-ში 22 წლის შემდეგ.

თქვენ მე გეკითხებით, რატომ ისევ „ცილინდრი“?

ალბათ, იმიტომ, რომ ეს პიესა გაცილებით უფრო აქტუალურია, ვიდრე მაშინ იყო. მოგეხსენებათ, 1986 წელს არ იყო ასეთი უმუშევრობა, ამ დონის სოციალური გაჭირვება, არ გექონდა გადატანილი ორი ომი, ინფლაცია, ფასების უსაშველო ზრდა, გაყინული ფინანსები... ერთი სიტყვით, არაფერი ვიცოდით იმ გაჭირვების შესახებ, რამაც ადამიანი ისე შეიძლება გადააგვაროს, როგორც ეს პიესაშია მოთხრობილი. არადა, მაშინ ეს ყველაფერი თითქმის გაუგებარი იყო, ამიტომ სოციალური გაჭირვების ამსახველი სცენები საკმაოდ მოსაწყენი და გაწეული ეჩვენებოდა მაყურებელს. დღეს კი, იგივე სცენები, ძალიან ემოციური და მტკივნეული საყურებელია. გარდა ამისა, ცილინდრი, რომელიც

თან, ცოტა მსუბუქად, იუმორში. ამიტომაც ასე განვსაზღვრე სპექტაკლის ჟანრი: „სოციალური კომედია“. რატომაც არა, თუკი არსებობს „სოციალური დრამა“, რატომ არ შეიძლება იყოს „სოციალური კომედია“? და ბოლოს, ამ სპექტაკლით მინდა პატივი მივაგო დიდი რეჟისორის ედგარ ევაძის ხსოვნას, მსახიობების: მერაბ ჩიქოვანის, ჯემალ ჩხეიძის, ზურაბ ცირამუას, ნელი თოდაძის (მგონი არავინ მაგიწყდებია) ნათელ ხსოვნას, რომლებიც 22 წლის წინ ამ სპექტაკლში მონაწილეობდნენ, მინდა სიამოვნებით გავისხენო და მივეფერო იმ წლებს და, რაც მთავარია, ემილ სალიშვილს, რომელიც სამწუხაროდ, მას შემდეგ აღარც მინახავს.

აი, ამიტომაც ისევ „ცილინდრი“.

– თქვენ აღადგინეთ აქველი სპექტაკლი. მსახიობების ანსამბლი იბიშვა, თუ რაიმე ცვლილებას უნდა შევქოთოთ?

– 22 წლის წინ, ბუნებრივია, თეატრი სხვა შემადგენლობით თამაშობდა ამ სპექტაკლს. იმდროინდელი მხოლოდ ავთანდილ სახამბერიძე და გოჩა ნიკოლაძეა. მინდა მოგახსენოთ, რომ ბატონი ავთო მაშინაც შესანიშნავად თამაშობდა მოხუცი მილიონერის როლს, მაგრამ ახლა გაცილებით კარგად ზის მისი გმირის ხასიათში, რადგან ასაკით თითქმის გაუთანაბრდა ამ გმირს და თმების ხელოვნური გათეთრებაც აღარ სჭირდება. რაც შეეხება ახალ შემადგენლობას, ძალიან კმაყოფილი ვარ მათი მუშაობით და მინდა ყველას დიდი მადლობა ვუთხრა სასიამოვნო სარეჟისო საათებისთვის, წუთებისთვისაც.





☞ თქვენ ისევ მცირე სენა აირჩიეთ, რატომ? რაღაც ხიზლი აქვს ამ პატარა სენას თუ?

– მცირე სენას ნამდვილად აქვს თავისი ხიზლი – მყუდროა, თბილი, ინტიმური, ჩემთვის როგორღაც შინაურია და ძვირფასი, რადგან ბევრი რამ საკუთარი ხელით მაქვს ნაკეთები, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სათქმელი, რაც სპექტაკლში დევს, ძალიან ახლოს უნდა მივიდეს მაყურებელთან, როგორც პირდაპირი, ასევე გადტანითი მნიშვნელობით.

– მცირე სენა 2008 წლის 22 იანვარს გაიხსნა, ახალი სპექტაკლი 22 დეკემბრის დაბრუნებით. 22 რა, საკრალური ციფრია, თუ უბრალოდ, კარგად გაქვთ დაცული?

– 22 იანვარს მცირე სენის გახსნა ნამდვილად შეგნებულად დაგამთხვავებ ჩემი ვაჟის, სულხანის დაბადების დღეს. სწორედ ამ პერიოდში უწევდა სპექტაკლ „არჩევანი მეს“ გამოშვება და რამდენიმე დღის აქეთ-იქით მონაცვლელობა არაფერს ცვლიდა. „ცილინდრის“ პრემიერის 22 დეკემბერს დანიშნა კი ნამდვილად შემთხვევით მოხდა, თუმცა, რომ ვაკეირდები, სამყაროში შემთხვევით არაფერი ხდება: 22 წლის წინ მოვედი მესხიშვილის თეატრში, 22 წლის წინ დაიდგა „ცილინდრი“, 22-ში დაიბადა ჩემი სულხანი, 22 იყო ჩემი საარჩევნო ნომერი და, რაც მთავარია, 22 დღეში დაიდგა ეს სპექტაკლი, მოკლედ, ბევრი საერთოა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ძალიან მიყვარს ციფრი 22 და მე მგონი, ამიტომაც ძალიან იღბლიანია ჩემთვის.

– როგორც ვიცო, რამდენიმე წლის წინ სპექტაკლი ხელოვნების ინსტიტუტის სენაზე დაიდგა. რამდენიმე იმაც თქვენ ბრძანდებოდით. რა იყო მაშინ და რისი თქმა გსურთ ახლა?

– ხელოვნების ინსტიტუტში „ცილინდრის“ დადგმა, უფრო ახალგაზრდული თეატრის შექმნის სურვილი იყო. მინდოდა თეატრის გარეშე მყოფი ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის მომეყარა თავი და მათი დაუხარჯავი პოტენციის რეალიზაცია მომეხდინა... და არა მარტო მათი. მე თვითონაც მაშინ „თეატრის გარეშე მყოფი“ რეჟისორი გახლდით... მართალია, იმ თეატრის არსებობა, უამრავი მიზეზის გამო,

ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ, სამაგიეროდ, იქედან ორი ახალგაზრდა – სოფიო ჩირაძე და თემურ ისაკაძე დღევანდელ პრემიერაში მონაწილეობს და მიმართა, რომ საკმაოდ ნიჭიერად ასრულებენ თავიანთ როლებს. მინდა მათ განსაკუთრებით ვუსურვო წარმატება და დაეწყოთ მომავალი სამსახირო გზა.

– სპექტაკლში სამი მარჯანი-შვილია – თორნიკე, ანდრო და სულხანი. ეს შემთხვევითია, თუ ბაზიზმულად გაასაზრდო?

– გაგვასმე? (იცინის) არც შემთხვევითობაა და არც გამიზნულობა. უბრალოდ, ძალიან კარგად ვმუშაობ ჩემს მხასთან. საკმაოდ ბევრი სპექტაკლი დავდგი მისი სცენოგრაფიით და იმედი მაქვს, დღეის შემწევით, კიდევ ბევრ რამეს დავდგამ. ანდრო მარჯანიშვილი, გარდა იმისა, რომ ჩემი ძმაა, ბრწყინვალე არქიტექტორი და მხატვარია, შესანიშნავი მოაზროვნე და ჭეშმარიტი ქართველია, ასე რომ, მისი ნებისმიერი აზრი და რჩევა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სხვათაშორის, მშვენიერი რეჟისორული ხელება აქვს და პროგრესულად აზროვნებს, ამიტომაც, მასთან მუშაობა ჩემთვის დიდი სიამოვნებაა. რაც შეეხება სულხანს, მისი ასაკის ბავშვებთან შედარებით, ცოტა მეტი სცენური გამოცდილება აქვს და დროის დეფიციტის გამო, მოგეხსენებათ, ეს სპექტაკლი ფაქტურად სამ კვირაში დაიდგა, გადაწყვიტე მისი გამოცდილება გამოიმყვანებინა. აი, სულხან მარჯანიშვილისთვის კი, ნამდვილად გასამდა მესხიშვილის თეატრის სცენაზე ნათამაშები როლები: ბესამე კაროს ბავშვობა „ვატერ(პო)ლოში“ გოგია „დიდროში“ და მიქელე „ცილინდრში“.

ისე, სამივე მარჯანიშვილს ძალიან უყვარს თეატრი და დამეთანხმებით, ეს ცოტა არაა.

– სპექტაკლი თემატურად აღიარებდა აბსტრაქტულად, თქვენ ის ტაიპიური, რაც პიესაში დევს, კიდევ უფრო გააძლიერეთ, როცა ფინალი შეცვალეთ. რატომ?

– ნებისმიერ რეჟისორს, რომელიც დასადგმელად იღებს რაიმე პიესას, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული თავისი პოზიცია, რაც სურს, რომ სპექტაკლით ითქვას. აუცილებელია წარმოგენას ჰქონდეს იდეა, სათქმელი, ის გაგზოლი ხაზი, საითაც მივყავართ მთელ სპექტაკლს. არც

თუ იშვიათად, ეს ხაზი პიესაში არ არის საკმარისად მეგობრივი, ამიტომ რეჟისორს მცირე კორექტურის შეტანა უხდება ხოლმე, რათა გამოკვეთოს თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ პრობლემისადმი. სწორედ ამან განაპირობა პიესის ფინალის შეცვლა. მინდოდა მეტი სიმკვეთრე და სიმძაფრე მიმეცა პრობლემისთვის.

ჩემი შეხედულებები სპექტაკლის იდეურ-თემატურ ხაზზე პირველივე შეკითხვაში მოგახსენეთ, მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ: ქვეყნად სულიერების გარდა ყველაფერი დროებითი და წარმავალია, ამიტომ მოვუფრთხილდეთ ჩვენს სულს, ტყუილით ნუ შეგვცდებით მივადწოთ მიზანს, ნუ ჩავისახლებთ სხეულში ეშმას, ნუ დაგვიმორჩილებს მომხვეჭველობა, ვერიდეთ ყალბ ბრწყინვალეებს და ნუ მოგვხიბლავს ჩვენთვის შეუფერებელი ცილინდრები.

– თქვენ ორივე სპექტაკლს – ძველი და ახალი „ცილინდრის“ შემოქმედი ხართ, პირველის ნაწილობრივ, მეორის მთლიანად. რას იტყვით მსახიობებზე, იმან პარალელში გააწვლით?

– ძალიან გამიჭირდება მოკლედ ვისაუბრო ძველი და ახალი „ცილინდრის“ მსახიობებზე, მით უმეტეს პარალელები გაგავლო მათ შორის, ყველანი ძალიან ნიჭიერები და თვითმყოფადები არიან. ერთი მინდა ვთქვა, ამ ორ სპექტაკლს ბევრი რამ აქვს საერთო, მაგრამ ძალიან ბევრი განსხვავებაცაა, ამიტომ მსახიობების თამაშის სტილიც ხან ჰგავს ერთმანეთს, უმეტესწილად კი რადიკალურად განსხვავებულია.

მე ძალიან ბევრი სამადლობელი სიტყვა მინდა ვუთხრა „ცილინდრის“ ძველ შემადგენლობას, რომლებთან ურთიერთობაშიც მე პირველ ნაბიჯებს ვდგამდი მესხიშვილის თეატრში. „ცილინდრის“ ახალ შემადგენლობას კი, რომელიც უდაოდ ნიჭიერი მსახიობებითაა დაკომპლექტებული, დიდი წარმატება ვუსურვო. ასევე მინდა მომავალი გამარჯვებები დავულოცო მესხიშვილის თეატრის სრულ შემადგენლობას – მის შემადგენლობაში ვაგუფს და ტექნიკურ პერსონალს, რადგან თეატრის ძალა, მხოლოდ ერთობაშია.



ასე იქნება ხვალაც...

რესპუბლიკის დამსახურებულმა მსახიობმა მარიკა სამანიშვილმა 1986 წელს დადგმულ სპექტაკლში „ცილინდრი“ 99 წარმოდგენაში შეასრულა რიტას მთავარი როლი. ბოლო, 25 სპექტაკლი ფეხმძიმემ (თეკლა 1990 წლის 20 იანვარს დაიბადა) ითამაშა, მათ შორის ბათუმის გასტროლზეც. მე-100 წარმოდგენაზე მოსვლა კი ვეღარ შეძლო და ვერც მასვე სპექტაკლის თანხა აიღო. მაგრამ: – მსახიობის ცხოვრება ხომ ეკლიანია და არა ვარდებიანი! – ხუმრობს და პრემიის თანხაზე დიდ განძზე, უფლის საჩუქარზე, საკუთარ ქალღმერთ თეკლაზე საუბრობს, რომელმაც მშობლების გზა აირჩია და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტია.

პიესა „ცილინდრი“ პირველად შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ნახა და ძალიან მოეწონა. რიტას იქ ნათელა მოსულიშვილი ითამაშობდა. ასე რომ, პიესას კარგად იცნობდა და სიამოვნებით მუშაობდა როლზე რეჟისორ ემირ სალიმოვთან ერთად.

მარიკა სამანიშვილი და ავთანდილ სახამბერიძე თანაკურსელები იყვნენ და ცეკვა, რომელიც ყოველთვის დიდი ოვაციით და მაყურებელთა მხურვალე აპლოდისმენტებით მიდიოდა, ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას დაიდგა. სხვათა შორის, იგივე ცეკვა 2008 წელს გამართულ მარიკა სამანიშვილის ბენეფისზეც იხილა მაყურებელმა და რეაქციაც იგივე იყო, რაც ორი ათეული წლის წინ.

თეატრის ისტორიაში ეს იყო

სპექტაკლი, რომელზედაც თეატრის მთელი წელიწადი ბილეთები „ჩაწყობით“ იშოვებოდა.

გასტროლზეც უნდა წასულიყვნენ მოსკოვში, მაგრამ სამოქალაქო ომმა შეუშალათ ხელი. მარიკას დღესაც ძალიან წყდება გული იმ ჩაშლილი გასტროლის გამო, რადგანაც თელის, რომ მაყურებლისთვის არ უნდა ითამაშოს. კარგი სპექტაკლი არა მარტო მთელმა საქართველომ უნდა ნახოს, არამედ ფესტივალებიც უნდა მოიაროს. რამეთუ ეს არა მარტო თეატრის პოპულარობის ამაღლებას უწყობს ხელს, არამედ მსახიობის პროფესიული დონის ამაღლებასაც.

„ცილინდრის“ მონატრება დღემდე მოჰყვება, ბატონ ედგარ ეგაძის და ემილ სალიმოვისაც... სცენა მარიკა სამანიშვილისთვის წმიდა ადგილია, სადაც გაუბრალოება არ შეუძლია. როლთან მიმართებაში ზედმიწევნით სკულპულოზური დამოკიდებულება, გადაჭარბებული პასუხისმგებლობა და დაუღალავი მუშაობა

სცენურ გმირზე, მისი ცხოვრების სტილია. ამიტომაც უფრო მსახიობი მარიკა სამანიშვილი, ამიტომაც ცნობენ ქუჩაში და მის მიერ შესრულებული როლების მაღალ ხარისხზეც ხმამაღლა საუბრობენ.

„ცილინდრის“ მაშინდელ არაჩვეულებრივ პარტნიორებზე ჰყვება – თენგიზე (ჯავახაძე), ავთოზე (სახამბერიძე), მერაბზე (ჩიქოვანი), ნინოზე (ეჯიბია), ზურიკოზე (მნელაძე), ჯემალზე (ჩხეიძე), გოჩაზე (ნიკოლაძე)... მასაზეც... ზურაბ ცირამუას იგონებს თავისი განუმეორებელი ვიოლინოთი და ამ მოგონებებშია ის სიყვარული, თუ სიხარული, რომლითაც ცხოვრებას იღამაზებს.

დღესაც მესხიერებიდან არ ეშლება ის კადრები, თუ როგორ გუგუნებდა სცენიდან, ფარდის იქეთ, მაყურებლთა საფეხებზე მესხიშვილელთა დიდი სცენის დარბაზი.

ასე იყო... მაშინ...

ასეა დღეს... „ბამბაზიის სამოთხისას“...

ასე იქნება... ხვალაც!!!





„ცილინდრის“ პირველი პრემიერა ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრში 1986 წლის ივნისში შედგა და სპექტაკლში მთავარ როლებს უმეტესწილად ახალგაზრდა მსახიობები არსულებდნენ. მთავარ როლებზე ახლადშეუღლებული მარიკა სამანაშვილი და თენგიზ ჯავახაძე დაამტკიცეს. ჯავახაძის რუდოლფო ნახევრად ცოცხალი და ნახევრად გარ-

იყვნენ იმ დროს ქუთაისელი თეატრისმოყვარეულებისთვის ცნობილი მსახიობები: გივი ბერძენი, ზურაბ ცირამუა, გიორგი ახვლედიანი, მერი ბარაბაძე, ბონდო გურჩიანი, ნელი თოდაძე, ნესტან კვეიძე, ელგუჯა ლიპარტელიანი, გურამ ლომთაძე, კობა სამანიშვილი, იამზე ჩხეიძე, ირინა ხუციშვილი.

მოგონებები ახალგაზრდობის სკივრიდან

დაცვლილი პერსონაჟია, რომელსაც რეჟისორ ემილ სალიმოვის გადაწყვეტილებით „ვიტორმ“ გარდაცვალების დროს, თავთან „კუბოს“, იგივე სასახლის თავი ედგა, რომელიც ტრიალებდა და საჭირო მომენტში „ბარის“ ფორმასაც იღებდა.

იამსილას...

შარდის გადაწყვეთად 10 წამით ადრე კულისებიდან რუდოლფოს „განსასვენებელში“ მერაბ ჩიქოვანი შეძვრა და კუბოს თავზე შავი ღვინით პირთამდე სავსე ორი ჭიქა შემოიღო. ვერ გაუძლო ცდუნებას ჯავახაძემ და სანამ სამანიშვილი მორიგი კლიენტის დასაშინებლად ფარდას გადასწევდა, სულ ჩხრიალით ჩაიპირქვავეს ყელში რუდოლფომ (თენგიზ ჯავახაძე) და აგუსტინომ (მერაბ ჩიქოვანი) კეთილშობილი სითხე.

სპექტაკლში მასიურ სცენებში დაკავებული

იამსილას...

ზურაბ ცირამუას ფაქტიურად არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი სცენაზე, შემოსვლის და გასვლის გარდა, თუმცა, იყო „მასოვკაში“ ზურაბისთვის სათამაშო მთავარი ეპიზოდიც, მას ვიოლინოზე ხემის პროფესიულად ასმით პირველი ბგერა უნდა გაეუღერებინა. მთელი „მასოვკა“ ამ „წწწრრ“-ს ელოდებოდა და ერთხელაც არაფერი გამოუვიდა ზურაბს, არა და არ „აწრიპინდა“ ვიოლინო.

და კოლო:

— ამჟამად ჩემს როლზე ახალგაზრდა, ნიჭიერი მსახიობი აბელ სოსელია მუშაობს. მე მაგარი მკედარი ვიყავი, ვიმედოვნებ აბელი უფრო მაგარი იქნება. — იმედოვნებს თენგიზ ჯავახაძე.



სურათზე: (მარცხნიდან) მერაბ ჩიქოვანი. მანანა ჯინჯიხაშვილი, გობი ახვლედიანი, ლათო სანიძე, თორნიკე მარჯანიშვილი, ნიკო ძოგულუაშვილი, ირინა ხუციშვილი, მერი ბასილაძე, ნელი თოდაძე, ზურაბ ცირამუა, ჯემალ ჩხეიძე, ავთო სახამაშვილი. კობა სამანიშვილი, კახა გოგოლაშვილი, ლუიზა სალიმოვი, ემილ სალიმოვი. კობა ბრიბალაშვილი, ზვიად ჭყონია, მარიკა სამანიშვილი, ედგარ ებაძე, ზურაბ კნეზაძე, თენგიზ ჯავახაძე, ნინო ეპიბია.



ნოსტალგია

სოფიო ჩირაქემ სპექტაკლ „ცინდერში“ რიტას როლი, გრიგოლ ხანძთელის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტში საკუთარ სპექტაკლში ითამაშა. სპექტაკლი ავთანდილ სახამბერიძემ და თორნიკე მარჯანიშვილმა დადგეს და მთავარ როლზეც სწორედ მათ აირჩიეს სოფიო. ძალიან უყვარდა თავისი როლიც და ეს სპექტაკლიც და ინსტიტუტის დამთავრებიდან დღემდე ამ როლის ნოსტალგია მოჰყვებოდა. მონატრებული ოცნება რეალობად უქცია თორნიკე მარჯანიშვილმა, როდესაც კვლავ რიტას როლი და ყოფილ აღმზრდელ-პედაგოგთან ავთანდილ სახამბერიძესთან პარტნიორობა შესთავაზა.



როლის შეყვარების სტადიაშია...

როლის სიყვარული მისი ხასიათის მთავარი შტრიხია. ყველა როლი საკუთარივეთ უყვარს და ვერ ელევა... მათი ცხოვრებით ცხოვრობს არა მარტო სცენაზე, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც.

უამრავი ნაკლოვანებების მიუხედავად რუდოლფიც შეუყვარდა. მოდელატე, გამყიდველი მამაკაცის გამართლებასაც ცდილობს და პიესიდან ფრაზასაც იშველიებს: „რა უნდა ვქნათ, ცხოვრება ზოგჯერ იმ-

თორნიკე მარჯანიშვილთან მუშაობა მისთვის სასიამოვნო წუთებია, რადგანაც რეჟისორი სრულ თავისუფლებას აძლევს საკუთარი სცენური სახის სრულყოფისთვის.

რიტას პერსონაჟს ამართლებს და თვლის, რომ ქალი არ უნდა დარჩეს მამაკაცთან, რომელმაც ფულის გამო გაყიდა მეორე ნახევარი.

სპექტაკლში საკმაოდ ექსტრავაგანტულია, თითქმის ნახევრად გახდილი, მაგრამ მსახიობია და ჩინებულად გრძნობს თავს ამ როლში. არც მცირე სცენის სივრცის სივრცოვანის და მისი სხეულის აფიშირებით დარბაზიდან წამოსული მოსალოდნელი რეაქციის ეშინია, რადგანაც ენდობა რეჟისორ თორნიკე მარ-



ჯანიშვილს და თვლის, რომ ბატონი თორნიკე ზომიერად ეროტიკული, ზომიერად თავდაჯერებული, ზომიერად ფუქსავატი, ზომიერად კომიკური და ბოლოს, ზომიერად დრამატული ქალის სახის შექმნაში დაეხმარება, რომელსაც მაყურებელი უთანაგრძნობს და შეიყვარებს კიდევც.

წყნა წყნა

დენად აუტანელია, კაცს ორიდან ერთი დარჩენია, ან თავი მოიმკვდარუნოს, ან მოკვდეს“.

მთლად აფირისტსაც ვერ ვუწოდებ ჩემს გმირს, რადგანაც გაჭირვებამ აიძულა უკადრებელი ეკადრებინა.

მაგრამ, როცა აფირისტობ, აფირისტი ხარ!

რუდოლფოს დაცვას გაწყვეტინებ და გეკითხები:

– ბაჭირვებაში მყოფი ახელსოსელები იბივს ბააკეთებდა?

რეაქცია მყისიერად უარყოფითი აქვს. თავისი სცენური გმირის თავგამოდებით დამცველის ახლად ახსენდება, რომ ამ წუთში, ის აბელია და არა რუდოლფო.

– რას ამბობთ, ვერაფრით, მით უმეტეს იმას, რომ რუდოლფო ცოლს ნახევარ მილიონად გაყიდის.

თუმცა, გული მაინც ძალიან წყდება და სპექტაკლის დასას-

რულს ნამდვილად ცუდად ხდება, როცა ცოლი ეუბნება: – მე წავედი შენგან. რიტას სიტყვები როგორც აბელს, ისე ხვდება გულზე.

მცირე სცენაც ძალიან უყვარს, თვლის, რომ აქ საერთოდ სხვა სამყარო, სხვა სულიერებაა.

2000 წელს ხელოვნების ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი, თეატრში შტატგარეშე მსახიობად მოვიდა და იქედან მოყოლებული ამ თეატრში ყველა და ყველაფერი ეძვირფასება, უყვარს.

სიყვარული საერთოდ მისი ცხოვრების გზამკვლევაა, ბუნებით მშვიდი და გაწონასწორებული სცენაზე ზოგჯერ ფიცხია, ზოგჯერ გიჟი, ზოგჯერაც ფილოსოფოსი და მეოცნებე...

მსახიობია და ბედნიერია, ერთბაშად ამდენი ადამიანი რომ შეიძლება იყოს.



ახალი ვერსია ბუცინასთვის

ბმტონა მსახიობ ლელა ლომთაძისთვის მცირე სცენაზე ნათამაშები პირველი ტრაგიკომიკური პერსონაჟი იქნება. თუმცა, ამ სცენას, კარგად მორგებული და შეგუებულია, მის მიერ სარგამარტოდ წარმოდგენილი თეატრალიზებულ-მუსიკალური „რუსული რომანსების“ სადამოს შემდეგ.

თეატრის მუზეუმის არქივში „ცილინდრის“ აუდიო-ვერსია შეგნებულად არ ნახა, რადგანაც მისი გმირი, ნინო ეჯიბიასეულ ბეტინას არაფრით დამსგავსებოდა.

— ქალბატონი ნინო, 22 წლის წინ, ჩინებულ ბეტინას თამაშობდა, მაგრამ მე ძალიან მინდოდა ჩემი ბეტინა სრულიად განსხვავებული პერსონაჟი ყოფილიყო. ისეთივე კი, ავტორსაც რომ არ ეწერა; ამიტომაც შევთავაზე რეჟისორს ჩემი გმირისთვის ერთი ზედმეტი შტრიხი დაემატებინა და ფეხმძიმობის სიმულაციით, კიდევ უფრო გაემძაფრებინა სიუჟეტი. ბატონი თორნიკე ფიქრის შემდეგ დამთანხმდა. ასე რომ, მაყურებელი, რომელსაც ეჯიბიასეული ბეტინა ახსოვს, სულ სხვა თეატრალურ პერსონაჟს იხილავს. აფირისტობით გატანილი წუთისოფელი, იმაზე უფრო მძიმეა, ვიდრე წარმოგვიდგენია და ამას 22

დეკემბერს მესხიშვილის თეატრის მცირე სცენაზე მოსული მაყურებელი თავად იხილავს.

— აფირისტობს პიესის თითოეული გმირი, რათა სათავისოდ უფრო მეტი მოგება დარჩეს და ეს ყველაფერი გრძელდება თითქმის ერთ საათზე მეტი, ანუ პიესის ფინალამდე. მანამ, სანამ ავსულების ბუნაგს დამსგავსებულ სახლს არ ტოვებს რიტა და მანამ, სანამ ვითომ ფეხმძიმე ბეტინა, ყველას დასანახად არ იშორებს საგულდაგულოდ გაკეთებულ მუცელს.

— ბუნებრივია, ყველა მსახიობი თავის ინდივიდუალურ ხერხს მიმართავს, რათა თავისი გმირი რაც შეიძლება საინტერესო და მიმზიდველი გახადოს. ამიტომაც ძალიან ბედნიერი ვიყავი, როდესაც რეჟისორმა ჩემი იდეა მიიწონა და პერსონაჟის სახის სრულყოფისთვის სრული თავისუფლება მომცა. — თვლის ლელა ლომთაძე.



ასე სხოვრება არ შეიძლება

იმპროვიზაცია საკუთარი ინტერპრეტაციით, სამუშაო პროცესი სცენაზე — ნაცნობ და ახლობელ ადამიანებთან ერთად, რეჟისორის მიერ მიცემული თავისუფლება, რომელიც მეტ პასუხისმგებლობას ძალაუვნებურად იწვევს და ამიტომ, რეჟისორის ნებისმიერი შესწორება მისაღები და გასაგებია. ის იმპროვიზაცია კი, რომელიც კარგი გგონია, მეორე წუთში შეიძლება საერთოდ აღარ მოგეწონოს, ზედმეტად გადაჭარბებულად მოგწეწონოს... ამას ყველაფერს თეატრალურობის ენაზე შემოქმედებითი პროცესი ჰქვია. რომლითაც საუბარს ვიწყებთ აგოსტინოს როლის შემსრულებელ — გოჩა ნემსიწვერიძესთან.

რეჟისორ თორნიკე მარჯანიშვილთან არაერთგზის უმუშავეს, ამიტომაც გაუცხოების, გაურკვევლობის, შეგუების პრობლემა დღის წესრიგიდან მოხსნილია. მუშაობენ შეთანხმებულად და გოჩა თვლის, რომ შემოქმედებითი პროცესი ისე ჰარმონიულად მიმდინარეობს, სპექტაკლი აუცილებლად კარგი გამოვა.

22 წლის წინანდელ „ცილინდრში“ მასიურ სცენებში მონაწილეობდა თეატრალური ინსტიტუტის ახლადკურსდამთავრებული. მაშინ წარმატებულ, სულ სხვა ესთეტიკის სპექტაკლზე (ისევე როგორც სპექტაკლში მონაწილე ყველა მსახიობი: მარიკა სამანიშვილი, ნინო ეჯიბია, თენგიზ ჯავახიძე, მერაბ ჩიქოვანი, ზურაბ ძნელაძე, ავთანდილ სახამბერიძე, გოჩა ნიკოლაძე, ჯემალ ჩხეიძე, გიგა მიქაძე) მართლაც შეყვარებული იყო და ეს გრძნობა დღემდე მისეულია.

„ცილინდრის“ ყველა პერსონაჟი ტრაგიკული, ტკივილიანი გმირია. დაგროვებულმა პრობლემამ აიძულა ისინი მიეღოთ დამამცირებელი გადაწყვეტილება,


რომელსაც გამართლება ან შეიძლება ჰქონდეს, ან არა. ეს უკვე მაყურებლის გადასაწყვეტია.

გოჩა ნემსიწვერიძეს ებრძლება ძალიან ამორალურ საქციელში ჩათრეული პერსონაჟები და თვლის, რომ ის, რასაც „ცილინდრის“ გმირები იძულების წესით აკეთებენ, მათ ხასიათში არაა. ცხოვრებამ, შექმნილმა რთულმა სოციალურმა გარემომამ, ზეაღინდელი დღის შიშმა, აიძულა ისინი, გამოსავალი არც თუ სახარბიელო ფორმით მოეძებნათ. რამეთუ, შეიძლება ხვალ არათუ ულუკმაპუროდ, არამედ ჭერის გარეშეც დარჩნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იტალიაში ედუარდო დე ფილიპოს მიერ დაწერილი ეს დრამატული ისტორია, 21-ე საუკუნის საქართველოსთვის უკვე რეალობაა, რომელსაც 22 წლის წინ ევრაფრიით წარმოიდგენდა, მასიურ სცენებში დაკავებული ახალგაზრდა მსახიობი.

— როცა მაშინდელ სპექტაკლს ვუყურებდი, მეუცხოებოდა პერსონაჟების ისტორიები, დღეს კი, სამწუხაროდ, შეიძლება დარბაზში მსხდომმა ბევრმა მაყურებელმა, საკუთარი თავიც კი დაინახოს სცენაზე. ეს ტრაგედიაა და რა უფლის განაჩენი.

ჩვენ, ჩვენი ცხოვრების წესით ვიხდით ყველაფრის საზღაურს, უფალი მოწყალეა და ჩვენგან არაფრის საზღაურს ითხოვს, ჩვენ კი, არასწორი ცხოვრების წესით საკუთარი თავისთვის განაჩენი თავადვე გამოგვაქვს. ასე ცხოვრება არ შეიძლება. — ამბობს გოჩა ნემსიწვერიძე, რომელიც სოციალურ კომედიატკეული დრამატული ისტორიის გაშარვებას პარტნიორ მსახიობებთან ერთად შეეცდება წინა საახალწლო დღეებში, მესხიშვილელთა მცირე სცენაზე.







სპექტაკლში

„ცილინდრი“ მო-


ნაწილე მსახიობებში ავთანდილ სახამბერიძე ერთადერთია, რომელიც 22 წლის წინათაც „ატილიოს“ თამაშობდა და ამჟამადაც. მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო და ყოველი სპექტაკლის დღეს თმების თეთრად დაფერვა, შესაბამისი გრიმის გაკეთება და წლების მომატება სჭირდებოდა. წლებმა თმები კი გაუთეთრა ბატონ ავთანდილს, მაგრამ ატილო ძველებურად ახალგაზრდული შემართების, ენერგიის მქონე ოინბაზი მილიონერია, რომელსაც ქალის მოხიბვლა მხოლოდ მილიონების წყალობით კი არ ძალუძს, ოსტატური ხერხებითაც შეუძლია. მსახიობის ოსტატობა წლებმა მოუტანეს სახამბერიძეს და ამის შესახებ კარგად იცის არა მარტო ქუთათურებმა.

რესპონდენტი – არტისტი 22 წლის წინანდელ „ცილინდრზე“ გვიამბობს:

– თეატრის მაშინდელი სამხატვრო ხელმძღვანელი ედგარ ეგაძე გახლდათ, რომელიც „ბატონ ამილკარზე“ მუშაობდა. ბატონი ედგარის პრინციპი იყო, თეატრში რაც შეიძლება ბევრი პარალელური სპექტაკლი დადგმოლიყო, რათა თეატრის ყველა მსახიობი მუდმივად ფორმაში ყოფილიყო. წელიწადში 6 ახალი სპექტაკლი მაშინ გვემართო იყო, თუმცა ედგარი ცდილობდა სიტყვა „გეგმიურს“ „საუკეთესო“ დამატებოდა და საუკეთესოთა შორის საუკეთესოს არჩევის საშუალება ჰქონოდა მაყურებელს.

ედგარმა თავისი ყოფილი სტუდენტი ემილ სალიმოვი ჩამოიყვანა მოსკოვიდან, რომელსაც ფრანგი მეუღლე ჰყავდა. „ცილინდრზე“ საკმაოდ ჩქარ ტემპში მოგვიწია მუშაობა, რადგანაც სალიმოვი მალე საფრანგეთში უნდა წასულიყო. ფაქტიურად ორ თვეში გავაკეთეთ სპექტაკლი.

ბატონი ედგარი ამბობდა, რომ – „ედგარ ეგაძე, გოგი ქა-



აფისჯი,
ედგარე,
არტისტი

თარაძე ხვალ ქუთაისიდან წამსვლელი რეჟისორებია, ქუთაისში კი აუცილებლად უნდა დარჩეს ადგილობრივი კადრი, რომელიც ხვალ ამ ქალაქში, აქაური მაყურებლისთვის იმოღვაწეებსო“.

ამიტომაც მასწავლებელთა სახლში არსებულ მოზარდ მაყურებელთა თეატრში (ხელმძღვანელი: ავ. სახამბერიძე) საკუთარი გამოცდილების მქონე მომავალი რეჟისორი თორნიკე მარჯანიშვილი, სწორედ მან მოიწვია სალიმოვის ასისტენტად. თორნიკე ემილთან ერთად აკეთებდა სპექტაკლს. სტუმარმა ქართული არ იცოდა, თორნიკე თარჯიმანიც იყო, თანაშემწეც, ასისტენტიც.

როლები სპექტაკლში ედგარ ეგაძემ გაანაწილა, თითოეული მსახიობის უნარისა და შესაძლებლობების მიხედვით შეარჩია. კარგი სპექტაკლი გამოვივიდა, წარმატებული პრემი-

ერთ და 100-ზე მეტი წარმოდგენით. ეს გახლდათ წარმოდგენა, რომელიც გეიგვარდა არა მარტო ჩვენ, მსახიობებს, არამედ მაყურებელს.

იშვიათია, როდესაც მსახიობს ერთდღივით როლის შესრულების სურვილი აქვს, მაგრამ „ატილიო“ სხვა შემთხვევაა. ეს როლი დღემდე მიყვარს და ვცდილობ რაღაცეები, რაც მაშინ, როგორც ახალგაზრდა მსახიობს მაკლდა, ამჯერად შევავსო და სხვა ელფერი, განწყობა მივცე ჩემს გმირს. ვცდილობ არც ერთი ძველი ინტონაცია არ გავიმეორო, რადგანაც თეატრი ხომ ცოცხალი ორგანიზმია და თითქოსდა იმ წუთში იბადება სიტყვაც, განწყობაც, ის სცენური გმირიც, რომელსაც ანსახიერებ.

მცირე სცენაზე მუშაობა პირველად მიწვეს. ვიცი, იმ ლაფსუსს, რომელიც შეიძლება დიდ სცენაზე ყველასგან შეუმჩნევლად გაატარო, მცირე სცენა ვერ აიტანს. რთულია, ბეჭდის ხილზე საგალია მაყურებლის წინაშე ერთ ნაბიჯზე თამაში. ტრაგიკომედია „ცილინდრი“, სადაც ყოველ ბეგრას მოზომება სჭირდება, რათა არ გადაიბრუნოს შენი გმირი და ის გადათამაშება, ზედმეტად ხალისიანი, ან პირიქით, ზედმეტად ტრაგიკული არ გამოვიდეს. თითქმის შენი სუნთქვაც კი ესმის მაყურებელს, ამიტომაც არტისტიზმთან ერთად, მაქსიმალური მობილუხება და თითოეული ბეგრის გამკვეთებაა აუცილებელი.

ავთანდილ სახამბერიძისთვის ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი სამსახიობო ნიუანსი უცხო არ გახლავთ. მრავალი ქუთაისელი თეატრლის აღმზრდელი პედაგოგი, ნიჭიერი მსახიობი, რეჟისორი და უბრალოდ, კარგი ადამიანი, დღეს თავის ყოფილ მოსწავლეებთან და კოლეგებთან ერთად პრემიერისთვის მზადაა.

ბევრი წარმატებული პრემიერა მოგველოცოს, ბატონო ავთანდილ!



კარგია თავისუფლება

სატირისა და იუმორის თეატრის მსახიობ თემურ ისაკაძისთვის, მესხიშვილის თეატრის მცირე სცენაზე პირველად თამაში ხელახლა ნათლობის ტოლფასია. ბედნიერია ამ ფაქტით და დიდ პატივად მიიჩნევს, რომ მესხიშვილელთა უმეტესობასთან მეგობრობს და

მათთან მუშაობა არ უჭირს. დარწმუნებულია ყოფილ პედაგოგებთან, უფროს კოლეგებთან ერთად, შეძლებს თავისი სამსახიობო მონაცემების სრულიად წარმოჩენას. მით უმეტეს მცირე სცენაზე, რომელიც

რფელობითა და ოსტატობით ასრულებს „ანტონიოს“ როლს.

სტუდენტობის დროს თორნიკე მარჯანიშვილი მისთვის მარტო პედაგოგი არ ყოფილა.

— ბატონი თორნიკესთვის მხოლოდ მოსწავლე არ ყოფილვარ. ოჯახში, საკუთარი შეილივით მზრდიდა, ოჯახის წევრი ვიყავი მთელი ოთხი წელი. ძალიან საინტერესო ბატონი თორნიკესთან მუშაობა. ღმობიერი რეჟისორია, მსახიობს უფლებას აძლევს თავისი ფანტაზია, შესაძლებლობები, ბოლომდე გამოავლინოს, არ გეშტამბავს, არ გეპოტავს, პირიქით... აბსოლუტურ თავისუფლებას გვაძლევს და ეს თავისუფლება კომპლექსებისგან გათავისუფლებს, ფრთების ბოლომდე გაშლის საშუალებას გაძლევს.

არა და, იცით რა კარგია თავისუფლება მსახიობისთვის?!

სილინდრიან,

ბოჩა ნიკოლაძე სპექტაკლში „ცილინდრი“ ამჟამად „არტურის“ როლის ანსახიერებს. წლების წინ მსახიობი დონ რობერტო იყო. მასაც, ისევე როგორც ძველ „ცილინდრში“ მონაწილე ყველა მსახიობს, ძალიან უყვარს „ის“ ცილინდრი და დარწმუნებულია, მაყურებელსაც ძალიან შეუყვარდება მცირე სცენის რიგით მეხუთე წარმოდგენა.

— ძალიან ღამაზი სპექტაკლი გამოუვიდა მაშინ რეჟისორ ემილ სალიმოვს, რომელიც თავისი წარმოშობით „ინტერნაციონალი“ იყო — აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი, ფრანგი. ნამდვილად მსიამოვ-

ნებდა ამ სპექტაკლის თამაში. წარმატებულ სპექტაკლს უამრავი მაყურებელი ესწრებოდა და ჩვენც, ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებოდით. ვიმედოვნებ, ახალი „ცილინდრითაც“ ბევრი მუშაობა მოგვიწევს.



ჩემი არტური მექალთანეა, ჩვეულებრივი მამაკაცი, ამიტომაც, მისი სცენური სახის შექმნა ჩემთვის ძალიან მარტივია.

მცირე სცენის სივრცე, თითქოს მართლაც მცირეა სპექტაკლისთვის, მაგრამ რეჟისორმა თორნიკე მარჯანიშვილმა შეძლო ამ მცირე სივრცეში შეექმნა დიდი სცენის ილუზია.

სილინდრაქვე...



22 იფგლიანი

ციფრია ქუთაისის ლ. მესხიშვილის თეატრის მცირე სცენისათვის 2008 წლის 22 იანვარს ანა მხეიბის „არჩევანი მე“ ფეხბედნიერად დაეხმდა ამ სცენას. მაყურებლით სავსე დარბაზით (ანა მხეიბე „არჩევანი მე“, ალფონსო სასტრე „სიკვდილისთვის განწირული ათეული“, „37“ ფეხსაცმელებით მოთხრობილი ისტორია“, ნოდარ დუმბაძე – „დიდრო“, თეატრის მუზეუმის გახსნით და მრავალი საინტერესო ღონისძიებით.

მსახიობი გოჩა რაზმაძე პირველ ფეხბედნიერ სპექტაკლშიც თამაშობდა და 22 დეკემბერს გაართულ პრემიერაშიც ითამაშებს.

– ჩემი მასიდან გამომდინარე, ამ სპექტაკლშიაც შემოშთავაზეს ისეთი როლი, რომ უნდა გვბოლო და ვინერვიულო. სცენაზე შემოვდივარ ჭამა-ჭამით და ვერაშეიყვებო ქალს, მერე კი აღშოლოვებას არ ვმალავ იმ

հուշյա և Թղարծա Եթահուղծն Թոճանն

თანხის გამო, რომელსაც საკუთარი სიამოვნებისთვის მშვენიერი ქალი მთხოვს.

– დეტალურად მიყვება თავის პერსონაჟზე დონ რობერტოს როლის შემსრულებელი გოჩა რაზმაძე, რომლისთვისაც ფასეულია როლის შექმნისას რეჟისორ თორნიკე მარჯანიშვილის მიერ მინიჭებული თავისუფლება.

– თავისუფლება თვითღამკვიდრების გენიალური საშუალებაა, რაც ბატონ თორნიკსთან მუშაობისას აღმოვაჩინე. – თელის მსახიობი – რატკმა უნდა, კონკრეტულ მონახაზს რეჟისორი აკეთებს, მაგრამ ვოლფვილის ჟანრიდან გამომდინარე, მონიჭებული თავისუფლება საშუალებას მამ-

ლევს, საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავსე-
ლინო. ამ შემთხვევაში საშუა-
ლება ნამდვილად ამართლებს
მიზანს და როლიც უფრო საინ-
ტერესო, გამომსახველობითი
გამოდის.

– გაემოდის თუ არა ჩემი
 ტოლი და მთლიანობაში სპე-
 ძტაბლი?

– ნამდვილად გამოდის, მერწმუნეთ. სოციალური კომედია კი აწერია აფიშას, მაგრამ ეს გახლავთ ვოდევილი – ხალისით, იუმორით საესე წარმოდგენა, რომლითაც ნამდვილად იხალისებენ მაყურებელი და ერთი საათით მაინც მოსწყდება საკუთარ, ყოველდღიურ პრობლემებს.





არ გაქვს უფლება იყო ჩვეულებრივი

— სპექტაკლ „დიდროს“ შემდეგ, თუ ატყობ, რომ შენი პოპულარობა გაიზარდა, როგორია ასეთ ამბლუაში სულხან მარჯანიშვილი?

— ალბათ, ძალიან სასიამოვნოა, როცა გცნობენ და გიღიმიან. შენც ხედეები რატომ იღიმიება უცნობი ადამიანი და საოცარ სიბოძს გრძნობ, თუმცა, ამასთანავე უზარმაზარი პასუხისმგებლობაცაა. რაც სხვას ეპატიება, იმას ცნობილს არაფერს კმატობს.

— მესხიშვილის სცენაზე შენი მესამე როლია. პირველი ბესამე კაროს ბავშვობა იყო „ვატერპოლოში“, მეორე — გოგიტა „დიდროსი“, ახლა იტალიელ მიქელეს თამაშობ „ცილინდრში“. მსახიობობა გინდა?

— ეს შეკითხვა „დიდროს“ პრემიერის შემდეგაც არაერთხელ დამისვს.

მაშინაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: მსახიობობა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, ძალიან დიდ შრომასა და თავდადებას მოითხოვს, მე ჯერ ამისთვის მზად არა ვარ. უბრალოდ, მიყვარს სცენა, მიყვარს ის ადამიანები, ვინც ამ თეატრში მუშაობენ, განსაკუთრებით — მსახიობები და ძალიან მეამაყება მათ გვერდით დგომა. ჩემი ცხოვრება ბავშვობიდან თეატრთან არის დაკავშირებული და ამ კავშირის ერთი კვანძია ჩემი როლები.

— ძნელია, როცა რეჟისორი საკუთარი მამა?

— რა თქმა უნდა, ადვილი არ არის. ის სახლშია მამა, თორემ თეატრში ისეთივე რეჟისორია, როგორც დანარჩენი მსახიობებისთვის. უბრალოდ, როცა რაიმე არ გამოდის და მამა ნერვიულობს, ეს ცოტა უფრო მეტად, ალბათ, მე მხედება გულზე, თორემ სხვა მხრივ დანდობა არაა. უფრო მეტი პასუხისმგებლობა და უფრო მეტი მონდომებაა. ალბათ, მამაშვილობაში ერთგვარი გამოცდაც.

— სულხან, თქვენი გვარი თეატრალური გვარია, კოტე მარჯანიშვილი ძალიან დიდი მოვლენა იყო თეატრის ისტორიაში, ალბათ, რთულია

ატარო ეს გვარი და თან სცენაზე იდეგ.

— რაღაც წუწუნით გამოდის, რთულია მამის სპექტაკლში ითამაშო, რთულია ეს გვარი ატარო, რთულია ცნობადი იყო. მაგრამ ნამდვილად რთულია და რა გქნა. ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, ძალიან დიდი ნიჭი და მონდომებაა საჭირო. არაფერს არ უნდა შეგხედოს, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, ყველა რაღაც განსხვავებული, არაჩვეულებრივს ელოდება შენგან. არა გაქვს უფლება იყო ჩვეულებრივი, რიგითი. ეს ძალიან რთულია.

— მიქელეს რას იტყვი, როგორი როლია.

— მართალია, ეს პატარა ეპიზოდია, მაგრამ ნებისმიერ როლს თავისი ბიოგრაფია სჭირდება: მიქელეს ქუჩაში გაზრდილი, ერთი უბრალო ნეაპოლედი ბიჭია, გულელია, ღაღი; მზადაა ყველას დაეხმაროს, თვითონ არაფერს ჰყავს, მისი ახლობლები მეზობლები და მასავით ქუჩაში გაზრდილი ბიჭები არიან. ესაა მისი სიმდიდრე. კეთილი და პატიოსანი ადამიანია. სხვისი არაფრისი არაფერი უნდა. მე მგონი მიქელეს პროტოტიპები საქართველოშიც მრავლად არიან. ამიტომ ვცდილობ იტალიელი კი არა, ჩვენი, ქართველი ბიჭი ვითამაშო.

— მსახიობებზე რას იტყვი?

— მათთან ურთიერთობა დიდი ბედნიერებაა. მამას ერთი მეგობარი რეჟისორი ჰყავდა, გოგი გაბილია, მახსოვს მისი ნათქვამი: „თორნიკე, თეატრი ფუფუნებაა, შენ ფუფუნებაში ცხოვრობ“. მე ვფიქრობ, რომ ეს ხალხი მართლა ფუფუნებაში ცხოვრობს, რა თქმა უნდა, არა მატერიალურად და მათ ისე უნდა მოექცე, როგორც ძალიან, ძალიან ფაქიზ და მგრძნობიარე ადამიანებს. ჩემთვის ყველა საყვარელი, ყველა ნიჭიერი და განუმეორებელია. ისინი მასწავლიან ცხოვრებას, ურთიერთობებს, ერთმანეთის გატანას, ერთგულებას, სიყვარულს, მეტი აბა რა უნდა ადამიანს. მე მათთან ვიზრდები და თითოეული მათგანი ჩემი სიამაყეა.

— მკითხველს მინდა ერთი საიდუმლოც გაგანდო: მითხ-

რეს, რომ თურმე ლექსებს წერ.

— დიახ, მეწერება ხანდახან.

— შეგიძლია რომელიმე ლექსი ჩვენი ჟურნალისთვის შეარჩიო?

— ცოტა უხერხულია, ასეთი დიდი განაცხადი. მე ჩემთვის ვწერ.

— მაინც?

— კარგი. სულ ახლახან დავწერე ეს ლექსი. თუ გამოდგება:

„ქვიშაში წვეთავს წვეთები წვიმის, მოგონებები გარდასულია, გაქცეულ ფიქრებს ვერსად პოულობ, ხედები, რომ უკვე დასასრულია.“

ქარმა წაიღო ოცნების სევდა, მიწას ტალღების დაცემა აწვალეს. სხეულის შიგნით სატანა მოსჩანს, გულის სიღრმეში სული კანკალეს!

სტრიქონი ცვდება, სული ბერდება, მიდის, უჩუმრად სტოვებს ნაწვალევს. ჩვენ ხომ უბრალო ნახატები ვართ, უფალი თავად ირჩევს აკვარელს!!!

შორეულ ნისლში ანგელოზი მოსჩანს, სიკეთის გასაღები ჯოჯოხეთს აბარია, გაუჩნთ დროების სიცივე მაწვალეს, — ცხოვრების იალქანზე სიკვდილი ახატია.

ქვიშაში წვეთავს წვეთები წვიმის, მოგონებები გარდასულია! გაქცეულ ფიქრებს ვერსად პოულობ, ხედები, რომ უკვე დასასრულია.

მე კი ვფიქრობ, რომ ეს სულხანის ლამაზი ცხოვრების დასაწყისია. მას ნამდვილად არა აქვს უფლება იყოს ჩვეულებრივი. ის ხომ მარჯანიშვილია.



თეატრი მისთვის ოჯახია



ციცო მოწონელიძე 29 წლის წინ მოვიდა მესხიშვილებთან დიდ ოჯახში გოგი ქავთარაძის პირად მდივანად, შემდეგ იურა კაკულიამ მოკარნახედ გადაიყვანა, ჯეირან ფაჩუაშვილმა კი – რეჟისორის თანაშემწედ, მას შემდეგ 10 წელი გავიდა და ბევრი ქართველი, გერმანელი, ბერძენი, სომეხი რეჟისორის თანაშემწედ იმუშავა. სპექტაკლები საკუთარი შვილებით

უყვარს და პრემიერების ჩაბარების შემდეგ, მათაც საკუთარი შვილებით უფლის, პატრონობს. რეჟისორის ნამუშევარმა, დროსთან ერთად თავისი ელფერი რომ არ დაკარგოს, ყველა ნიუანსი ზეპირად ახსოვს და ყოველთვის აღწევს იმას, რომ ნდობა, რომელსაც რეჟისორი თანაშემწეს უცხადებს, ბოლომდე გაამართლოს.

პროფესიით მუსიკის პედაგოგი, თეატრში მოსვლამდე მსახიობობაზე ოცნებობდა და 12-წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის მიუხედავად, გულმა მაინც თეატრისკენ გამოუწია. ანდამატივითაა თეატრი, სულ სხვანაირი მიზიდულობის ძალა აქვს, ციციმაც ვერ გაუძლო ამ მიზიდულობის ძალას და 29 წელია ერთგულად ემსახურება საქმეს, რომელიც უყვარს.

რეჟისორის თანაშემწის შრომა არასოდეს სჩანს, ის ყოველთვის კულისებში რჩება, ფარდის უკან, მაგრამ ციცი მაყურებლის ოვაციასაც იზიარებს, რეჟისორის გამარჯვებასაც და მსახიობების

წარმატებასაც. დღესაც, ოცნებაში ყველა მსახიობის როლს თამაშობს გულში და ბედნიერია, რომ მესხიშვილის დიდ ოჯახში ყველა უყვარს, საკუთარივით.

ორივე ვაჟი – გიორგი და მათე, თეატრთან ერთად, თეატრში გაზარდა. ბევრჯერ აკლდა ოჯახს მისი ხელი, მაგრამ თეატრში მუშაობის გრაფიკი ხომ განუსაზღვრელია, ამიტომაც ოჯახშიც ეგუებოდნენ დედის დაგვიანებას და თეატრში, თეატრალურად ერთადაც მშვენივრად გრძნობდნენ თავს ბიჭები, მეუღლე.

ციცი ხელაძის და გიზო კაკაურიძის ვაჟი გიორგი კაკაურიძე, ამჟამად ციციოს საყვარელი თეატრის მსახიობია და ახლა შვილის როლის პატრონობაც უწევს რეჟისორის თანაშემწეს.

თეატრი მისთვის ოჯახია – სამშაბელი, ძმობა, დიდი და ლამაზი ოჯახი.



სპექტაკლ „ცილინდრში“ მსახიობთა პლასტიკაზე ახალგაზრდა, ნიჭიერმა შემოქმედმა კახაბერ შარტავამ იზრუნა, რომელმაც 2008-2009 წლების თეატრალურ სეზონში რეჟისორ გიორგი სიხარულიძის მიერ დადგმული შალვა დადიანის „გუშინდელ“-ში? მონაწილე არტისტების სამსახიობო მონაცემებს ნამდვილად

პლასტიკა

დაატყო საკუთარი ინდივიდუალური ხელწერა. პლასტიკა „გუშინდელ“-ში? მართლაც რომ განსაკუთრებით გამომსახველი და მეტყველია.

რეჟისორ თორნიკე მარჯანიშვილს წლების წინ პირველად სწორედ გიორგი სიხარულიძის რეკომენდაციით შეხვდა. მაშინ „ვატერპოლოზე“ იმუშავებს. ეს 24 წლის კახაბერის პირველი სერიოზული ნამუშევარი გახლდათ დიდ სცენაზე. თუმცა, მანამდე კინომსახიობთა თეატრში ჰქონდა რამდენიმე სპექტაკლში საკუთარი შესაძლებლობები მოსინჯული.

ფიქრობს, რომ თორნიკე კმაყოფილია მისი ნამუშევრით და

ამიტომაც მოიწვია მეორე სპექტაკლზე სამუშაოდ. „ვატერპოლოში“ საკმაოდ ბევრი სცენა იყო, რომელიც პლასტიკას მოითხოვდა და შესაბამისად მეტი დატვირთვაც ჰქონდა. „ცილინდრში“ კი ერთადერთი სცენის გაკეთება უწევს, სულ სამი მსახიობისთვის, რომლებიც ფულს ვერ იყოფენ, ცხოველდებიან და პირველყოფილი ადამიანების ღონემდე დადიან. მსახიობებმა ხასიათები, განწყობა პლასტიკით უნდა გადმოსცენ.

– ძალიან გამიადვილდა მუშაობა, რადგანაც სამივე მსახიობთან უკვე ნამუშევარი ვარ და ყველაფერი იოლად, გასაგებად კარგად გამოუდით. რეჟისორთან შეთანხმებით ჩემი ჩანაფიქრი ზუსტად და მარტივად გაითავისეს, სასურველ შედეგს კი პრემიერის დღეს ვიხილავთ. – დაწმუნებულია კახაბერი.



ივანე ჯავახიშვილი

ლიტერატურული ნაწილის გამგე:

ყოველი ახალი იმედებით იწყება...

ყოველ ახალს სათუთი მოლოდინი ახლავს... ახალ წელს თითქოს ახალი სიცოცხლე იბადება თითოეულ ჩვენგანში და კაცს ვერ ნახავთ, უკეთესის რომ არ სჯეროდეს. მჯერა მეც.

მჯერა, რომ მომავალი წელი წარმატებული, ოცნებების ახდენის, ბედნიერების წელი იქნება, რომ დიდი და კეთილი კოსმიური ენერგია ჩვენს ქვეყანასაც ბედნიერების ორბიტაზე მოაბრუნებს. სასიკეთო სიახლეებით დაიხუნძლება თეატრიც, ჩვენი სულებიც, სრულიად საქართველო; თეატრი გაივსება სიხარულით ცრემლმორეული მაყურებლით...

და კიდევ რას ვისურვებ, იცით?! – გაისად ამ დროს, ამავე სურვილებით არ შევხვედროდეთ! აგვხდნოდეს! უფალი გვფარავდეს!

სოსო ნელაშვილი, ლ. მესხიშვილის სახელობის

სახელმწიფო დრამატული თეატრის მუზეუმის გამგე:

დამდეგ ახალ წელს ვულოცავ მთელს ჩვენს ქვეყანას, მის გმირ ხალხს, ჩვენს ქალაქს, ჩვენს თეატრს, ყველა მსახიობს, მის შემოქმედებით ჯგუფს, ყველა თანამშრომელს.

უღვრე სიხარულს და ბედნიერებას ვისურვებთ.

ღმერთმა ნუ მოგიშალოთ წარმატებები, ქორწილები, დღეობები, ბებობები.



ლექსი ლომიშვილი, მსახიობი:

მშვიდობით მინდა მივულოცო ახალი წელი საქართველოს, ქართველ ერს, რამეთუ თუ მშვიდობა იქნება, ლოგიკურია ყველაფერს დაძლევს ადამიანი, პიროვნულადაც და სულიერადაც.

შევინარჩუნოთ სულიერი სიმშვიდე და ლოგიკურია, ის გარემო, თუ მდგომარეობა, რომელიც ჩვენს ირგვლივაა, უფრო გაწონასწორებული და გააზრებული იქნება.

მინდა ჩემი თეატრის ყოველი ნაბიჯი სიახლეებით სავსე იყოს და არც ერთი დღე არ ჰგავდეს ერთმანეთს. ყოველი მეორე დღე წინასვან განსხვავებით წარმატებული ყოფილიყოს, არა მარტო თეატრისთვის, არამედ თეატრის თითოეული თანამშრომლისთვის, მთლიანად საქართველოსთვის.

გილოცავთ! მიყვარხართ!

გორჩა ნიჭიშვილი, მსახიობი:

მინდა ჩვენს თეატრს, ყველა მსახიობს, ყველა ხელოვანს მივულოცო ახალი წელი.

მთლად საქართველოსთვის მშვიდობის, ბედნიერების, კეთილდღეობის მომტანი ყოფილიყოს ეს წელი.

გაუმარჯოს ყველა იმ ადამიანს, ვინც მშვიდობისთვის იღწვის, ვისი გული მშვიდობისკენ მიისწრაფვის და ვისაც ხელეწიფება მშვიდობიანი ხვადინდელი დღე გაუთენოს საქართველოს.

ხარის წელია მომავალი წელი, ხარივით მაგრები ვყოფილიყავით მოაველ წელს.





მრავალ ბედნიერ შობა-ახალ წელს!



შოთა რუსთაველი

საქართველოს სახალხო არტისტი:

ყოველ ახალ წელს ახალი იდეებითა და ახად
ოცნებებით ელოდებიან. ღმერთმა ყველა კეთილ:
ჩაფიქრებული სურვილი შეგისრულოთ.

გუსურვებ მთელ საქართველოს, ქართველებს,
ჩემს ქუთაისს ბედნიერი ახალი წელი გათენებოდეს.

როდესაც ჩეხოსლოვაკიაში მძიმე დღეები დადგა, მაშინ ქვეყნის
პირველმა პირმა იულიუს ფუჩიკმა ხალხს მოუწოდა: „ადამიანებო,
იყავით ფხიზლად“. მე კი, ჩემს ხალხს მინდა მოვუწოდო –
ადამიანებო, გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან მხოლოდ
სიყვარულით შეიძლება დიდი საქმეების კეთება.

გუსურვებ ჩემს მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილ ხალხს ჯანის სიმრთელეს, ტერიტორიულ
მთლიანობას, ბედნიერებას, სიხარულს, წარმატებებს, გამარჯვება იყოს მათი ცხოვრების
საწინდარი. ხოლო, რაც შეეხება ჩემს თეატრს, ჩემს კოლექტივს, რომელიც ჩემი ცხოვრების
დიდი ნაწილია, გუსურვებ, კარგ სპექტაკლებს, გამარჯვებებს, მაყურებლით სავსე დარბაზს.

გვახსოვდეს ყოველთვის, გამარჯვება და წარმატება, რაც უნდა დიდი იყოს, ის მაინც ისტორიის
ნაწილი ხდება, ამიტომ ახალი წლიდან, ახალი წარმატებები გექონოდეს.

ერთმანეთს მოვუაროთ, ერთმანეთს გვერდით დაგუდგეთ.

შეგვძლებოდეს ცუდის დავიწყება.

ადამიანებმა მხოლოდ სიკეთე და ბედნიერება გუსურვოთ ერთმანეთს.

იხარეთ, იმრავლეთ, ჩემო ხალხო, ჩემო მეგობრებო, ჩემო კოლეგებო.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

ვაჟეიშ ოყნიშვილი

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი:

მოდის ახალი 2009 წელი. რას გუსურვებდი მომავალ წელს ჩემს
ხალხს, ჩემს თეატრს, ჩემს საქართველოს?

ჩემს ხალხს:

ულკამაპუროს – დაპურებას,

უსახლკაროს – გამდიდრებას,

უმუშევარს – სამსახურს,

უქონელს – ქონებას,

სნეულს – ჯანმრთელობას,

ბოროტს – გაკეთილშობილებას,

ლაჩარს – დავაჟიკებას.

ჩემს თეატრს:

ბევრ ახალ სპექტაკლს და გამარჯვებას, უღევ მაყურებელს, კაპიტალურ შეკეთებას,
დაფინანსების გაზრდას (თუ საკრებულოს კეთილი ნება იქნება, შეიძლება ხელფასებიც
მოგვემატოს), საზღვარგარეთ გასტროლებს.

ჩემს საქართველოს:

გვევდრები, ღმერთო, ჩემი საქართველო დამიბრუნე მშვიდობიანად თავის საზღვრებში.





მეტეორიტი სანსონიძე

მსახიობი:

„ღმერთმა მშვიდობა ქნას.

ამ ქვეყანაზე მთავარია მშვიდობა და სიყვარული. სიყვარული ადამიანების, სამშობლოს მიმართ და საერთოდ სიყვარული. მწამს, რომ სიყვარული ნამდვილად გადაგვარჩენს. მტრის სიყვარულიც კი გადაგვარჩენს, მტრისავე თავისი წილი სითბო უნდა აგრძნობინო, რომ მან მტრობაზე აიღოს ხელი.

ღმერთმა ჩემს ქვეყანას, ჩემს ქალაქს, ჩემს თეატრს მშვიდობიანი ახალი წელი გაუთენოს. მშვიდობა როცა იქნება, ცოტა თუ გინდა წავიკინებოდა კიდევ... ეს კინკლაობაც სიყვარულით ყოფილიყოს, უკეთესის ძიებისა და აღმოჩენის იმედით“.

თენგიზ ჯაფარიძე


მსახიობი:

2008 წლის დასაწყისში მსახიობმა გივი ბერიკაშვილმა თქვა: – ისეა რვიანი დაგრეხილი, მგონი ნამეტანი უკუღმართი წელიწადი გვექნებაო. ისე ყველაფერი კარგად აგისდეთ, როგორც ეს სიტყვები ახდა.

სამწუხაროდ, მთელი საქართველო მართლა რვიანში გაიხლართა. დასრულდა რვიანი. გვეშველა! ცხრიანს დასაწყისიც აქვს და დასასრულიც, ვიმედოვნებთ ჩვენს „ავად ყოფასაც“ ამ წელიწადში ლოგიკური დასასრული ექნება და სანუკვარი აღმშენებლობითი მომავლისკენაც დავიწყებთ აღმა სვლას. მარტო სიტყვით არა, საქმითაც.

ლაბირინთიდან გამოსვლას გილოცავთ ქართველებო და მომავალ 2009 წელს ულევ სიხარულს, ჯანის სიმრთელეს გისურვებთ.

უფლის შემწეობა არ მოგკლებოდეთ“.



გორჩ ნემსოჭყელიძე

მსახიობი:

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, გისურვებთ სიკეთეს, სიხარულს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას.

წარმატებები, წინსვლა და აღმავლობა არ მოჰკლებოდეს ჩვენს თეატრს!

გამარჯვება, დოვლათი, ბარაქა ჩვენს ქვეყანას!

ყველა ქართველის ოჯახში მხოლოდ სიყვარული მეფობდეს.

ჩემი მეგობრის – გიზო კაკაურიძის სიტყვებსაც მოვიშველიებ – ღმერთო! ბაჯადლო ოქროს ზოდითი ჩადებული ჯანმრთელობა მანახე ყველა ქართველის ოჯახში.

ახალი წლის შემობრძანებას ვულოცავ ყველა ქართველს, აქ მცხოვრებთაც და ემიგრაციაში მყოფთაც, რომლებსაც ცრემლებამდე ენატრებათ საქართველო“.



გვესმის თქვენი მცირე სცენა

ეფუანდო ფე ფილიპო

IL CILINDRO

ტილინდტი

პირველი სცენა - ნანა ძაგალია, სალაღიმო ნაწილის ბავშვები - დემურ, კოსტანაშვილი, მხატვარ ბაშინაშვილი - ხეივან ღოღონაძე, ბაშინაშვილის ასისტენტები: ბიორაზი აბულაძე, ბიორაზი კიკელიძე, ხმის ოპერატორი - ნაირა პიჭიშვილი, გუნდის ოპერატორი - ნაირა კიკელიძე, მკერდები - გიორგიშვილი, მარინე ბაჩქალიძე, ნანაშვილი - მხატვარები, რეჟისორები - ლილა კუტალიაძე, სცენის მთავარი მხატვრები - რუხა და კვიტუაშვილი, სცენის მხატვრები: ოლეგ ცხელაძე, ფილიპო ჩხაიძე, არჩილ კოსტანაშვილი, ალექსანდრე კოსტანაშვილი, ტარდელ ჩხაიძე, თენგიზ კიკელიძე.

თეატრის მმართველი
გიორგი სიხარულიძე

რეჟისორი:
თორნიკე
მარჯანიშვილი

მხატვარი:
ანდრე მარჯანიშვილი

ქორეოგრაფია-პლასტიკა:
კახაბერ შატაშვილი

მუსიკალური გაფორმება:
ბონა ნამსოვიძე

რეჟისორის თანამშრომელი:
ციცო მუხომეიძე



მის: დავით აღმაშენებლის
მოედანი №1
4-57-47; 4-56-90; 4-88-60; 4-55-43

რედაქტორი: ნანა ძაგალია
ფოტო მორენიძე ტურაბეიშვილი

აწყობა-დაგეგმვა:
„სიხარული-2008“
ქუთაისი, პუშკინის ქ. №14

დაბეჭდა:
სსს „თეატრიონი 2002“
თბილისი, ნინოშვილის ქ. №8